თბილისის არქიტექტურა

№ _____

№ _____

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/636-1

ნებართვის გაცემის თარიღი „15“ 03 2012 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 19 მარტი 2012 წ.

ნებართვა ძალაშია 19 მარტი 2014 წ.

დამკვეთი სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი საოფისე შენობა – IV კლ

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, სექტორი ვაკე, ყიფშიძის ქუჩა №2/ჭავჭავაძის გამზირი №39-ის მიმდებარედ

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№ 01.14.14.002.116

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 01/627, 15.03. 2012 წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური

(სახელი, გვარი)

ბ. ა. 205270883

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 272 22 22 ფაქს.|+995 32| 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ყურადღება!

არქიტექტურის სამსახურის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, ინფორმაციის ან/და ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნა ხორციელდება წერილობითი ფორმით. თუ მოგეთხოვათ დოკუმენტაცია, ინფორმაცია ან/და ფულადი თანხის გადახდა წერილობითი ფორმის გარეშე, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე 272-22-22 (ტონალურ რეჟიმში აკრიფეთ ციფრი 1 ან 2).

მშენებლობის ეტაპები:

- სამშენებლო ობიექტის მომზადება-შემოღობვა
- მშენებარე შენობის სართულების დემონტაჟი 7.40 ნიშნულის ზევით და მონგრეული ბეტონის ნარჩენების გატანა
- მიწის სამუშაოები -3.40 ნიშნულამდე და ჭარბი გრუნტის გატანა
- ხიმინჯების მოწყობა
- მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 7.40 ნიშნულამდე
- მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 7.40 ნიშნულიდან 21.00 ნიშნულამდე
- მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 21.00 ნიშნულიდან 34.60 ნიშნულამდე
- მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 34.60 ნიშნულიდან 48.20 ნიშნულამდე
- მონოლითური რ/ბ კარკასის დასრულება
- გარე და შიდა კედლების მოწყობა
- სახურავის მოწყობა
- ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება
- სამშენებლო სამუშაოების დასრულება
- ტერიტორიის კეთილმოწყობა.

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/627

" 15 " 03 2012

ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.03 წლის №3106 სამშენებლო პასპორტში და 30.06.04 წლის №20/234 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ყიფშიძის ქუჩა №2/ჭავჭავაძის გამზირი №39-ის მიმდებარედ სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

2003 წლის 03 დეკემბერს ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში შ.პ.ს. „გიგო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაიცა №3106 სამშენებლო პასპორტი საოფისე კომპლექსის არქიტექტურული პროექტის დასამუშავებლად. 2004 წლის 30 ივნისს №20/234 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა №6/324. 2007 წლის 14 ნოემბერს №283 ბრძანებით აღდგენილი იქნა ზემოთაღნიშნული არქიტექტურული პროექტი. 19.11.07 წლის №6/1107 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამშენებლო პასპორტში და 30.06.04 წლის №20/234 ბრძანებაში და გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/1107-1.

2012 წლის 17 თებერვალს, 02 მარტს და 06 მარტს №12/23470-13 განცხადებით მომართა სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს რწმუნებულმა ლაშა ქობულიამ და მოითხოვა 03.12.03 წლის №3106 სამშენებლო პასპორტში და 30.06.04 წლის №20/234 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად შ.პ.ს. „გიგო“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“, აგრეთვე საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში მიწის ნაკვეთის ფართი მითითებული იყო 1706.00 კვ.მ, რომელმაც განიცადა ცვლილება და დღეის მდგომარეობით დაფიქსირდა 925.00 კვ.მ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (№882012093906) და საკადასტრო გეგმა (№01.14.14.002.116). აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად ყიფშიძის ქ. №2-ში არსებული 925.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული მშენებარე შენობა-ნაგებობა წარმოადგენს სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს საკუთრებას.

დამკვეთი – სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“
საპროექტო ორგანიზაცია – ERISTAVI LAW GROUP
ავტორი – ლ. ქობულია, მ. სამარღანიშვილი.

საფუძველი: - განცხადება №12/23470-13; 17.02.12წ; 02.03.12წ; 06.03.12წ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882012093906; საკადასტრო №01.14.14.002.116);
- სამშენებლო პასპორტი №3106. 03.12.03წ;

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.: (+995 32) 272 22 22 ფაქს.: (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

- ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 30.06.04 წლის №20/234 ბრძანება;
- ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის 2004 წლის №6/324 მშენებლობის ნებართვა.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.11.07 წლის №283 ბრძანება.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.11.07 წლის №6/1107 ბრძანება და №6/1107-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
- ქ. თბილისის მერის 31.03.09 წლის განკარგულება №270.
- ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი. რეესტრში რეგ. №120161528;
- სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი"-ს დირექტორის დავით ერისთავის მინდობილობა. 06.03.12წ;

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.05 წლის №140-ე და 24.03.09 წლის №57-ე დადგენილებებისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ყიფშიძის ქუჩა №2/ჭავჭავაძის გამზირი №39-ის მიმდებარედ სპკ „დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 30.06.04 წლის №20/234 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შენობის კლასი: IV

მიწის ნაკვეთის ფართი	– 925.00 მ^2;
განაშენიანების ფართობი	– 454.00 მ^2;
საერთო ფართი	– 6403.06 მ^2;
მათ შორის:	
- საზოგადოებრივი (ოფისები) ფართი	– 4435.54 მ^2;
- საზოგადოებრივი (ლობი და დერეფნები) ფართი	– 631.72 მ^2;
- საზოგადოებრივი (კაფე-რესტორანი) ფართი	– 304.38 მ^2;
- კიბის უჯრედის (ლიფტებთან ერთად) ფართი	– 370.86 მ^2;
- საზაფხულო ფართი	– 213.61 მ^2;
- სარდაფის ფართი	– 345.84 მ^2;
- დამხმარე (საკომუნიკაციო სავენტილაციო შახტა)ფართი	– 101.11 მ^2;
სამშენებლო მოცულობა	– 22 220.00 მ^3;
0.00 ზევით	– 2290.00 მ^3;
0.00 ქვევით	– 19 930.00 მ^3;

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.03 წლის №3106 სამშენებლო პასპორტთან და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 30.06.04 წლის №20/234 ბრძანებასთან ერთად.
3. გაიცეს: მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
4. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2012 წლის 19 მარტიდან 2014 წლის 19 მარტის ჩათვლით;
5. განემარტოს დამკვეთს, რომ იგი ვალდებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის გადახდა განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის დაცვით, რომლითაც დანართის სახით წარმოადგენს ამ ბრძანების განუყოფელ ნაწილს.
6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისროს პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. 1)განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:

1.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

1.2. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე-საძირკვლისაგან.

1.3. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

1.4. სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;

1.5. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად.

2)განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (*მის: ქ. თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. №7*), ოფიციალური გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

– მშენებლობის ეტაპები: სამშენებლო ობიექტის მომზადება-შემოღობვა, მშენებარე შენობის სართულების დემონტაჟი 7.40 ნიშნულის ზევით და მონგრეული ბეტონის ნარჩენების გატანა, მიწის სამუშაოები -3.40 ნიშნულამდე და ჭარბი გრუნტის გატანა, ხიმინჯების მოწყობა, მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 7.40 ნიშნულამდე, მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 7.40 ნიშნულიდან 21.00 ნიშნულამდე, მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 21.00 ნიშნულიდან 34.60 ნიშნულამდე, მონოლითური რ/ბ კარკასის მოწყობა 34.60 ნიშნულიდან 48.20 ნიშნულამდე, მონოლითური რ/ბ კარკასის დასრულება, გარე და შიდა კედლების მოწყობა, სახურავის მოწყობა, ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება, სამშენებლო სამუშაოების დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
  - აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
  - **აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;**
  - **აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;**
  - სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე;

    მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

    <u>შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.</u>

    მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.

    ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
- მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.

- სანებართვო პირობების მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
- დამკვეთი ვალდებულია, მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი სამუშაოები შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ობიექტი ვარგისად იქნას აღიარებული (მიღებული ექსპლუატაციაში) კანონით დადგენილი წესით.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი კ. ნიაური

ERISTAVI
LAW GROUP

სპს "სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ყიფშიძის ქ. №2-ში, განსაზღვრული სიმჭიდროვის საანგარიშო კოეფიციენტი ნაცვლად 4.0-ისა განისაზღვრა 7.0-ით

განკარგულების (№270 - 31. მარტი.2009წ.) გაცემის დროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მოსაკრებელი განისაზღვრებოდა 320 ლარით.

კალკულაციისთვის საჭირო მონაცემები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 925.0მ2

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 320ლარი

მოთხოვნილი კოეფიციენტი (კ-2) - 7.0

ასრებული განაშენიანების კოეფიციენტი (კ-2) - 4.0

20%-იანი შეღავათი (კ-2)

მოსაკრებლის ოდენობა 162800 ლარი

აღნიშნული თანხა 162800ლარი მესაკუთრის მიერ დაფარული იქნება ორ ეტაპად:

1. 81400 ლარი - 2012 წლის აგვისტო
2. 81400 ლარი - 2013 წლის მარტი

სპს "სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფის" დირექტორი

დავით ერისთავი

ERISTAVI LAW GROUP

განკარგულება №270

320

"31" მარტი 2009 წ.

ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2009 წლის 20 მარტის სხდომის №7 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის მშენებლობის დასაპროექტებლად განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=7,0.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

[illegible] უგულავა

ქ. თბილისი 0160, უ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი. 20 მარტი, 2009 წელი.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ახვლედიანი.

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები: გია აბულაძე, დავით გოგიჩაიშვილი, ბერდია გველებიანი, მანუჩარ მახათაძე, დავით მახარობლიშვილი, ნიკოლოზ სებისკვერაძე, არისი ბოჭოიძე.

მოწვეულები: თ. რეხვიაშვილი, ხ. ბერიძე, ბ. ბერიძე, რ. ბაკურაძე, ზ. გიგაური. ქ. ქაფუქაია, ა. ჩ. ჯანი, გ. ინასარიძე, გ. კვიწინაშვილი, ბ. ბერიშვილი, ხარძიანი, უდესიანი, შ. ლეკიაშვილი, გ. მჭედლიშვილი, კ. აბულაძე, შ. საჭაპურიძე, ი. აბრამიშვილი, ლ. ხუხაშვილი, გ. ყიფიანი, მ. ბოლქვაძე, ო. ჯაფარიძე, დ. კეჩხუაშვილი, ნ. კვანტალიანი, ა. პაპელაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარგიანის ქ. №№2-4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული – თ. რეხვიაშვილი).

2. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ორპირის ქ. №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეულები – ხ. ბერიძე, ბ. ბერიძე).

3. ქ. თბილისში, ისან–სამგორის რაიონში, სააკაძის ქუჩაზე (სამრეწველო მაღაზიის მიმდებარედ), რეკრეაციულ ზონაში (რზ-I) შერეული ფუნქციის შენობისათვის (საბილიარდო, სათამაშო ავტომატები, კაფე-ბარის ადმინისტრაცია) სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.
(მოწვეულები – რ. ბაკურაძე, ზ. გიგაური).

4. ქ. თბილისში, ისან–სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განსათავსებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.
(მოწვეულები – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი, დოქტ. ქ. ქაფუქაია, პროფ. ა. ჩეთინ ჯანი).

5. ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ყიფშიძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისან–სამგორის რაიონში, სააკაძის ქუჩაზე (სამრეწველო მაღაზიის მიმდებარედ), რეკრეაციულ ზონაში (რზ-1) შერეული ფუნქციის შენობისათვის (საბილიარდო, სათამაშო ავტომატები, კაფე-ბარის ადმინისტრაცია) სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

4. ქ. ქაფუქაიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ისან–სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განსათავსებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი ქ. ქაფუქაია.

საორიენტაციო ზონის სახეობა – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა.

- სამსახურის პოზიცია: მიზანშეწონილია გრგ-ს დავალების გაცემა წარმოდგენილი მასალის – შესაბამისად, თუმცა გასათვალისწინებელია სპორტული მოედნების ავტომაგისტრალიდან დაშორებით განთავსება.

აზრი გამოთქვეს:

- გია აბულაძემ: მისაღებია.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია.
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია.
- დავით მახარობლიშვილმა: გრგ–ს დავალების გაცემა შესაძლებელია. პროექტის შეთანხმებისას, ყურადღება მიექცეს არიტექტურას, შენობის მოცულობით და მხატვრულ გადაწყვეტებს.
- ნიკოლოზ სებისკვერაძემ: მისაღებია. ვფიქრობ, ადგილი (ვინაიდან იგი ეგებება და ემშვიდობება მოგზაურთ) საკმაოდ მნიშვნელოვანია, შეიძლება პროექტი კიდევ უფრო დაიხვეწოს თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, იყოს დასამახსოვრებელი და განსხვავებული. აგრეთვე, თვალს ცუდად ჭრის მორკალულ მინდორში სამკუთხა აუზის ჩასმა.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისან–სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განსათავსებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემაზე.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

5. გ. ინასარიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ყიფშიძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – შპს "ვიპ პალასის" თავჯდომარე ლ. ჩხენკელი.

არსებული პარამეტრები – კ1=0.7, კ2=4,0.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.7, კ2=7.0.

- სამსახურის პოზიცია: მისაღებია, თუმცა გადასამოწმებელია სამეზობლო მიჯნის საკითხი. ზოგადად, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ვაკის უბანში სიმჭიდროვის ზრდა.

აზრი გამოთქვეს:

- გია აბულაძემ: მისაღებია.

• დავით გოგიჩაიშვილმა: განმეორებით იქნეს განხილული. გასარკვევია საკუთრების ფორმა. აგრეთვე, მომიჯნავე საცხოვრებელი სახლის ინსოლაცია.

• ბერდია გველებიანმა: მისაღებია.

• მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია. გადაწყდეს სამეზობლო მიჯნაზე განთავსების წესი.

• დავით მახარობლიშვილმა: არ არის მისაღები. აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებულია განსხვავებული მოცულობა, ასევე, გასასინჯია რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი ვარიანტი ქალაქგეგმარებით და სანიტარულ ნორმებს, მომიჯნავე შენობებთან მიმართებაში.

• ნიკოლოზ სებისკვერაძემ: განმეორებით იქნეს განხილული. თავისთავად არქიტექტურა საინტერესოა. ვფიქრობ, დაპროექტებისას უგულებელყოფილია გარემო და კერძოდ, მეზობელი შავი შენობა, რაც მთლიანობაში საკმაოდ აგრესიულ იერს იძენს. არ გამოვრიცხავ მოისინჯოს ისეთი ვარიანტი, როდესაც შენობა მეტად მოერგება არსებულ სიტუაციას, კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებლად მიმაჩნია.

• არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.

• მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია. შენიშვნა: სამსახურის მიერ გასათვალისწინებელია სამეზობლო მიჯნის საკითხი (შენიშვნის გათვალისწინება მისაღებია).

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ყიფშიძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით

აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0.7, კ2=7.0.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: – 5,

წინააღმდეგი: –3 (დ. გოგიჩაიშვილი, ნ. სებისკვერაძე– განმეორებით იქნეს განხილული, დ. მახარობლიშვილი – არ არის მისაღები).

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

6. გ. კვიწინაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, კუს ტბაზე სასტუმროს, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი კომპლექსის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ინდივიდუალური საწარმო "გიორგი კვიწინაშვილი."

საორიენტაციო ზონის სახეობა – სრზ-2.

➢ <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილი მასალის შესაბამისად, მიზანშეწონილია გრგ-ს დავალების გაცემა საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2-ით იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები:

–კ2 კოეფიციენტი არ უნდა აჭარბებდეს 1.0;

–შენარჩუნდეს/მოეწყოს არსებული კალათბურთის, ფრენბურთისა და მინი ფეხბურთის სპორტული მოედნები;

• დავით მახარობლიშვილმა: განმეორებით იქნეს განხილული. ვეთანხმები სამსახურის პოზიციას.

• ნიკოლოზ სებისკვერაძემ: განმეორებით იქნეს განხილული.

• არისი ბოჭოიძემ: განმეორებით იქნეს განხილული.

• მამუკა ახვლედიანმა: განმეორებით იქნეს განხილული. მიზანშეწონილად მიმაჩნია განხილულ იქნეს „აკადემქალაქის" გრგ–სთან ერთობლიობაში.

დასკვნა: უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, „აკადემქალაქის" ტერიტორიაზე, ბერბუკის ქ. №№5,7,9–სა და ალმასიანის ქ. №13ა–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

საკითხი განმეორებით იქნეს განხილული არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შემდეგ, „აკადემქალაქის" ტერიტორიის გრგ–სთან ერთობლიობაში.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

16. ა. ბოჭოიძის ინფორმაცია ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2008 წლის 13 დეკემბრის სხდომის №4 ოქმში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

აღინიშნა, რომ კომისიის 2008 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმში (№13, საკითხი №30) დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი: კ2 კოეფიციენტის 2,3-ის ნაცვლად, ჩაწერილია კ2=2,2 და საჭიროა მისი, არსებული წესის შესაბამისად, გასწორება.

აზრი გამოთქვეს:

• გია აბულაძემ: მისაღებია. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

• დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.

• ბერდია გველებიანმა: მისაღებია.

• მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია.

• დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.

• ნიკოლოზ სებისკვერაძემ:

• არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.

• მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა ა. ბოჭოიძემ უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორებისათვის.

დასკვნა: მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე: მამუკა ახვლედიანი

კომისიის აღმასრულებელი მდივანი არისი ბოჭოიძე

არქიტექტორის თანხმობა საავტორო უფლების გადაცემაზე

თბილისი 23.02.2012 წელი

მე, გიორგი ინასარიძე (პირ. #01017001114), როგორც ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ არსებული საოფისე შენობის მთავარი არქიტექტორი, გადავცემ სრულად ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ (საკ. კოდი 01.14.14.002.116) არსებულ საოფისე შენობის პროექტის ავტორობიდან გამომდინარე ჩემს საავტორო უფლებას სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს (ს/კ 205278386).

ჩემს მიერ წინამდებარე აქტზე ხელმოწერის მომენტიდან, სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფ“-ს (ს/კ 205278386) გადაეცემა კანონმდებლობით გათვალსიწინებული ყველა შესაძლო უფლება, რომელიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ (საკ. კოდი 01.14.14.002.116) არსებულ საოფისე შენობის პროექტის საავტორო უფლებიდან. მათ შორის სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს (ს/კ 205278386) ენიჭება უფლება პირადად (სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-ს (ს/კ 205278386) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) ან/და მის მიერ შერჩეული არქიტექტორ(ებ)ის მეშვეობით შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ (საკ. კოდი 01.14.14.002.116) არსებულ საოფისე შენობის პროექტში.

მე, გიორგი ინასარიძეს (პირ. #01017001114), როგორც ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ არსებული საოფისე შენობის მთავარ არქიტექტორს, წინამდებარე აქტზე ხელმოწერისა და ქ. თბილისი, ქუჩა ყიფშიძე #2/ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39–ის მიმდებარედ (საკ. კოდი 01.14.14.002.116) არსებულ საოფისე შენობის პროექტზე ჩემი საავტორო უფლების სპს „სპკ დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი“-სთვის (ს/კ 205278386) სრულად გადაცემის შემდეგ, არ გამაჩნია რაიმე სახის (ქონებრივი ან/და არაქონებრივი) პრეტენზია წინამდებარე აქტით გათვალისწინებული საავტორო უფლებ(ებ)ის გადაცემიდან გამომდინარე.

გიორგი ინასარიძე

http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120161528
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.02.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	98836017388512

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

[illegible] საქართველოს ნოტარიუს ც. ბერიძე
რიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 68
იმართა [illegible] რომელმაც
მოითხოვა თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე პირადობა
მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილა
[illegible] 23.09.62 წ.
[illegible] 01017001114 [illegible]
[illegible] 19.04.11 წ. მომმართ
და შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი
არ მაქვს. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმომწერს სამართლებრივი
შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას.
და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვამოწმებ

საქართველოს ნოტარიუსი * GEORGIA. NOTARY * ГРУЗИЯ. НОТАРИУС * ციური ბერიძე TSIURI BERIDZE ЦИУРИ БЕРИДЗЕ

რეგისტრირებულია რეესტრში 120161528

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 4,36

ნოტარიუსი ც. ბერიძე